



ჩაის კოოპერატივების სამუშაო შეხვედრა

კომუნიკე

2016 წლის 3 ივნისს, ქ. ქუთაისში, სასტუმრო „არგოში“ გაიმართა ჩაის კოოპერატივების სამუშაო შეხვედრა. ეს იყო *ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის* მიერ *CARE საერთაშორისო კავკასიასთან, რეგიონული განვითარების ასოციაციასა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან* ერთობლივი თანამშრომლობით ორგანიზებული მესამე ღონისძიება სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების დიალოგების სერიიდან, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ENPARD-ის პროექტის – *„თანამშრომლობა სოფლის კეთილდღეობისათვის საქართველოში“* – ფარგლებში.

ეს შეხვედრა იყო 2015 წლის 1 ივლისს ჩატარებული ჩაის ფორუმის გაგრძელება და მიზნად ისახავდა, მრგვალი მაგიდის გარშემო შეეკრიბა ამ სექტორში ჩართული ყველა მხარე, რათა განეხილა ჩაის კოოპერატივების წინაშე არსებული დაბრკოლებები, რაც დაკავშირებულია ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში „ქართული ჩაი“ მონაწილეობას.

შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ: გოჩა ცოფურაშვილი – სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გიორგი მიშელაძე – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, ლევან უროტაძე – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, სილვია სანხუანი – ქვა საერთაშორისო კავკასიაში (CARE), ნინო ზამბახიძე – საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, ირაკლი კოჭლამაზაშვილი – ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის კვლევითი ინსტიტუტი (ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი); ჩაის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები: გურია კომპანი-2014, ნაგომარი, ჩიბათი, დუყი, მამათი-2020, ჩაის სურნელი, მთის ჩაი, ეკომიგრანტი, ორმეთი 2012, ლაშისდელე 2014, ხავერდოვანი ჩაი და ა.შ.; სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის წარმომადგენლები; კერძო სექტორის წარმომადგენლები: შპს „მილმართი“, შპს „ჯეოპლანტი“, შპს „კესანე“, შპს „ახალი ქართული ჩაი“, შპს „თერნალი ჩაი“ და ა.შ.

ნინო ზამბახიძემ (საქართველოს ფერმერთა ასოციაცია) ფორუმი გახსნა დისკუსიით. ისაუბრა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის მნიშვნელობაზე და იმ გამოწვევებზე, რასაც ჩაის კოოპერატივები აწყდებიან პროგრამაში მონაწილეობის მცდელობისას. სილვა სანხუანმა (CARE) ისაუბრა ENPARD-ის პროექტის მნიშვნელობაზე და ქვას კონსორციუმის როლზე საქართველოში ჩაის სექტორის განვითარებაში. მან ხაზი გაუსვა საგრანტო კონკურსში მონაწილე აპლიკანტების სიმრავლეს ჩაის სექტორიდან, თუმცა მისი

თქმით, შერჩეულ იქნა ძალიან ცოტა კანდიდატი, რადგან განმცხადებელ კოოპერატივებს გაუჭირდათ პროექტის განმავლობაში პროდუქტიულობის გაუმჯობესების დასაბუთება.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, გოჩა ცოფურაშვილმა ისაუბრა სწორი პოლიტიკის აუცილებლობაზე და ქვეყნის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში ENPARD-ის მნიშვნელობაზე; მან აღნიშნა, რომ სქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჩაიზე საუბარი ბოლო ერთი წლის განმავლობაში დაიწყო. პროგრამა „ქართული ჩაი“ ამუშავდა და უკვე გაფორმდა ხელშეკრულება ორ შპს-სა და ერთ კოოპერატივთან. მინისტრის მოადგილის თქმით, მნიშვნელოვანია კოოპერატივების აქტიურობა, რათა განისაზღვროს პროგრამის ზუსტი და შედეგზე ორიენტირებული სპეციფიკა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი მიშელაძის განცხადებით, ჯამში უკვე დარეგისტრირებულია 1496 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელთაგან 40-მდე არის ჩაის კოოპერატივი. სამწუხაროა, რომ მათგან მხოლოდ 21 ჩაის კოოპერატივია რეალურად მოქმედი. ამ 21 კოოპერატივის საკუთრებაშია 46 ჰა მიწის ნაკვეთი (მათ შორის უკვე დაფინანსებულ ერთ კოოპერატივს „ხავერდოვანი ჩაი“ ეკუთვნის 10,5 ჰა), თუმცა კოოპერატივების წევრების საკუთრებაში 200 ჰა-მდე მიწის ფართობია. პროგრამაში „ქართული ჩაი“ მონაწილეობის მისაღებად საჭიროა, რომ მიწა კოოპერატივის საკუთრებაში იყოს. არსებული მიწის ნაკვეთები კი საჭიროებს რეგისტრაციას, რაშიც მათ დახმარება სჭირდებათ.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს პროგრამის „ქართული ჩაის“ მენეჯერმა, ლევან უროტაძემ წარადგინა პროგრამა. პროგრამაში მონაწილეობის მიღება მხოლოდ იურიდიულ პირებს შეუძლიათ; პროექტის ფარგლებში 1 ჰა ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციის სახელმწიფოს თანადაფინანსება ითვალისწინებს მაქსიმუმ 2500 ლარს. სხვა იურიდიულ პირებთან შედარებით, კოოპერატივები სარგებლობენ უპირატესობებით თანადაფინანსების კუთხით. თუმცა სხვა მოთხოვნები კოოპერატივებისთვის ბევრად მკაცრია. ანასეულის კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩაის პლანტაციაზე ჩატარებული კვლევა ერთ-ერთი ძვირადღირებული ხარჯია, რომლის გაღებაც მეწარმე სუბიექტს უწევს. თუმცა განიხილება ამ ხარჯის პროექტის ფარგლებში დაფინანსება. ამ ეტაპზე პროექტის ფარგლებში ასევე არ ფინანსდება გათოხნა და შემოღობვა. ამასთანავე, პროექტის ფარგლებში ეკონომიკის სამინისტროს აქვს უპრეცედენტო შემოთავაზება – სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების იჯარით გადაცემა ხელსაყრელ ფასად მოხდება (50 ლარი 1 ჰა). თუ ბენეფიციარი წარმოადგენს ყველა მოთხოვნილ დოკუმენტაციას, რამდენიმე დღეში გაფორმდება ხელშეკრულება და დაიწყება სარეაბილიტაციო სამუშაოები. მართალია, შეზღუდვები მკაცრია, მაგრამ ეს იძლევა გარანტიას, რომ პროექტის ფარგლებში გაცემული დაფინანსება, მიზნობრივად დაიხარჯება.

მოხსენებების შემდეგ ფორუმი გაიხსნა ღია დისკუსიისათვის, სადაც უკვე თვითონ კოოპერატივებისა და სხვა მეწარმე სუბიექტების წარმომადგენლებმა დააფიქსირეს თავიანთი აზრი იმ გამოწვევებთან დაკავშირებით რაც დღეს მათ ხვდებათ ჩაის პროგრამაში მონაწილეობის მიღების პროცესში.

კოოპერატივის „მთის ჩაის“ წარმომადგენელმა ისაუბრა პროგრამის ბიუროკრატიულ ბარიერებზე. ეს კოოპერატივი ერთ-ერთი პირველი ჩაერთო პროგრამაში, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე ვერ მიიღო დაფინანსება გარკვეული საბუთების ნაკლებობის გამო. უნდა გამარტივდეს ბიუროკრატიული პროცესები, რადგან იურიდიული საკითხები ძალზედ პრობლემატურია მეწარმე სუბიექტებისათვის. გამოითქვა სურვილი, რომ პროგრამის სტრუქტურული ერთეული გაიხსნას ქუთაისში, რადგან ჩაის წარმოება ხდება მხოლოდ დასავლეთ საქართველოში. ხშირი ვიზიტები თბილისში ფერმერებისთვის ძალზედ არაკომფორტულია, რადგან დიდ ხარჯებსა და დროსთან არის დაკავშირებული.

კოოპერატივის „ჩიბათის“ წარმომადგენელმაც ისაუბრა კოოპერატივების წინაშე არსებულ პრობლემებზე. პროგრამის მოთხოვნების თანახმად, კოოპერატივები რომლებიც ფლობენ 5 ჰა-ზე ნაკლებ ჩაის პლანტაციას, რჩებიან პროექტს გარეთ; არსებობს შეზღუდვა კოოპერატივებზე, რომლებიც ორიენტირებულნი არიან არა ჩაის ფოთლის გადამამუშავებაზე, არამედ მხოლოდ ჩაის ფოთლის მოყვანაზე. არსებობს მიწის რეგისტრაციის პრობლემა; პროგრამა არ ითვალისწინებს შემოღობვას, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია უკვე რეაბილიტირებული პლანტაციების ცხოველებისგან დაცვისთვის. ამასთანავე, თუ ბენეფიციარები თავად ჩაატარებენ სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ეს უფრო ნაკლებ დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული; ხელისშემშლელია, ასევე, მოთხოვნა, რომ კოოპერატივის წევრების არანაკლებ 75%-მა უნდა მოახდინოს კოოპერატივში ჩაის პლანტაციების შეტანა (თითოეულმა არანაკლებ 0,25 ჰა), რადგან კოოპერატივის წევრების უმრავლესობა ფლობს მოთხოვნილ რაოდენობაზე ნაკლებ პლანტაციას.

გარდა ზემოთ თქმული გამოწვევებისა, ფერმერებმა წინ წამოსწიეს შემდეგი საკითხები: ანასეულის კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ანალიზის სიძვირე; სამუშაო ძალის გადინება სოფლებიდან; მიწების დარეგისტრირების პრობლემა და მასთან დაკავშირებული ხარჯები; იმპორტირებულ პროდუქციაზე კონტროლის დაწესების აუცილებლობა; გირაოსა და საგარანტიო თანხის პრობლემა; ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა, აქტიურად არ ხდება სექტორში მიმდინარე პროცესების გაშუქება წამყვანი ტელეარხების მეშვეობით; თანამშრომლობის ნაკლებობა სახელმწიფო სააგენტოებს შორის, მათსა და ფერმერებს შორის.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის დეპარტამენტის უფროსმა, თენგიზ კალანდაძემ ისაუბრა ჩაის ტექნიკური რეგლამენტის შესახებ. ეს რეგლამენტი უკვე ჩამოყალიბებულია და ძალაში შესვლის შემდეგ სავალდებულო გახდება ყველა მწარმოებლისათვის. ამასთანავე, მეწარმეს შეეძლება შექმნას თავისი სტანდარტი, რომელიც ნებაყოფლობითი ხასიათისა იქნება. ამასთანავე, ბატონმა კალანდაძემ ისაუბრა გეოგრაფული წარმომავლობის ჩაის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ ჩვენი პროდუქცია ვერ იქნება დიდი მოცულობის, ამიტომ აუცილებელია, დავიკავოთ გარკვეული ნიშა ბაზარზე, რომელიც, უმეტესწილად, უნდა იყოს მაღალხარისხიანი ჩაის წარმოება (ბიო, ადგილწარმოშობის ჩაი და ა.შ.).

გიორგი მიშელაძის აზრით, პირველი დონის კოოპერატივები უნდა იყვნენ მხოლოდ ნედლეულის მწარმოებლები. ხოლო მათგან შექმნილი მეორე დონის კოოპერატივი უნდა იყოს გადამამუშავებელი. ანუ ასეთ შემთხვევაში დანადგარები უნდა გადაეცეს მხოლოდ მეორე დონის კოოპერატივებს.

რამდენიმე მოსაზრება, რომელზეც მონაწილეები გარკვეულწილად შეთანხმდნენ:

- საჭიროა, დაფინანსდეს შემოღობვისა და ანასეულის კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის ხარჯები;
- გადაიხედოს შეზღუდვა კოოპერატივის წევრისათვის (წევრების მინიმუმ 75%-სთვის) სულ ცოტა 0,25 ჰა ჩაის პლანტაციით კოოპერატივში შესვლასთან დაკავშირებით; ცვლილებები შევიდეს მუნიციპალიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე;
- პროგრამამ უნდა განიხილოს ისეთი კოოპერატივების საკითხი, რომლებიც საკუთრებაში არ ფლობენ ჩაის პლანტაციებს (ან ფლობენ 5 ჰა-ზე ნაკლებს), რომ მათაც მიეცეთ პროგრამაში მონაწილეობის უფლება;
- გადასახედია ასევე კოოპერატივებისათვის გადასამუშავებელი საწარმოს აშენების ვალდებულების დაწესება იმ ვადებში, რაც მოცემულია პროგრამის მიმდინარე ვარიანტში;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსა და ქეას კონსორციუმის წარმომადგენლები უნდა იყვნენ ჩართულები პროგრამის გადახედვის პროცესში.

დასკვნით ნაწილში, სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებმა (სოფლის მეურნეობის სამინისტრო, კოოპერატივების განვითარების სააგენტო და პროექტების მართვის სააგენტო) აღნიშნეს, რომ დღეს განხილული პრობლემების მოგვარების მიზნით, მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში იგეგმება პროგრამაში ცვლილებების შეტანა. მათ მზადყოფნა გამოთქვეს, რომ გაითვალისწინებენ ფორუმზე განხილულ საკითხებსა და მიღებულ რეკომენდაციებს. ისინი თანახმანი არიან, ENPARD-ის პროექტის ქეას კონსორციუმის წარმომადგენლები კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან ჩაერთონ ამ პროცესში.

თავის მხრივ, ქეას კონსორციუმის წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს მონაწილეებს აქტიურობისთვის და დასძინეს, რომ შეხვედრის დროს განხილულ მთავარ საკითხებს ჩაუტარდება მონიტორინგი და მზად არიან გააგრძელონ მჭიდრო თანამშრომლობა როგორც სახელმწიფო სტრუქტურებთან, ისე მეწარმე სუბიექტებთან, რათა მიღწეულ იქნას დასახელებული პრობლემების ოპტიმალურად მცირე დროში მოგვარება, რათა პროექტი „ქართული ჩაი“ უფრო მეტი ბენეფიციარისთვის იყოს ხელმისაწვდომი.

ფორუმზე განხილულ საკითხებზე უფრო მეტი ინფორმაციისათვის, გთხოვთ, იხილოთ დანართი 1.



დაფინანსებულია ENPARD-ის მიერ
- ევროკავშირის პროგრამა
სოფლისა და სოფლის მეურნეობის
განვითარებისთვის



WITH FUNDING FROM
AUSTRIAN
DEVELOPMENT
COOPERATION